

**საბანკო მომსახურების პირობებს დაემატოს 3.3.13. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

“3.3.13. ბარათის 3D უსაფრთხოების მომსახურების პირობები:

- Visa International ან/და MasterCard International ბარათის მფლობელ პირებს, შესაბამისი განაცხადის შევსების საფუძველზე შეუძლიათ ისარგებლონ ბარათის 3D უსაფრთხოების მომსახურებით, რომელიც მოიცავს განაცხადით განსაზღვრულ მობილურ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონული ხელსაწყო დიჯიტალსზე ერთჯერადი კოდის გაგზავნას, რომელიც გამოყენებულ იქნება ინტერნეტ ტრანზაქციების უსაფრთხო შესრულების განსახორციელებლად;
- ბარათის 3D უსაფრთხოების მომსახურება მოქმედებს შესაბამისი ბარათის ვადის ბოლომდე;”